

სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს
სამეთვალყურეო საბჭოს ოქმი №49

ქ. თბილისი

2019 წლის 15 მარტი

განსახილველი საკითხები:

სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა განიხილეს შემდეგი საკითხები:

1. სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) 2019 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტი (დანართი 1).
2. სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) აუდიტის გეგმა 2018 წლის 1 აპრილიდან 2019 წლის 31 მარტის პერიოდისთვის (დანართი 2).
3. სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia), 2017 წლის 1 აპრილიდან - 2018 წლის 31 მარტის ჩათვლით პერიოდის აუდიტორული ანგარიში (დანართი 3).
4. სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) 2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 30 ივნისამდე პერიოდის შესყიდვების გეგმაში შესატანი ცვლილებები (დანართი 4ა); ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის იმპლემენტაციის წერილი (დანართი 4გ) და ინფორმაცია აღნიშნული წერილის თაობაზე (დანართი 4ბ).
5. სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) მოთხოვნა საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან (GRDF) არსებული და სამომავლოდ ჩარიცხული ამონაგები თანხა სრული ოდენობით გადარიცხოს სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) ანგარიშზე.
6. სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოსა (MCA-Georgia) და სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრს (NAEC) შორის გასაფორმებელი „საქართველოს ზოგადი განათლების ხარისხის გაუმჯობესების პროექტის დამოუკიდებელი შეფასებისათვის, სწავლების შეფასების მონაცემთა შეგროვების შესახებ“ განმახორციელებელი სააგენტოს ხელშეკრულების პროექტი (დანართი 5ბ) და ინფორმაცია განმახორციელებელი სააგენტოს ხელშეკრულების პროექტის თაობაზე (დანართი 5ა).
7. სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოსა (MCA-Georgia) და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს (ESIDA) შორის 2014 წლის 11 ნოემბერს გაფორმებულ „ზოგადი განათლების ხარისხის გაუმჯობესების პროექტის შესახებ“ განმახორციელებელი სააგენტოს ხელშეკრულებაში შესატანი #5 ცვლილებების პროექტი (დანართი 6ბ) და ინფორმაცია აღნიშნული ცვლილებების პროექტის თაობაზე (დანართი 6ა).

8. სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) და სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს (TPDC) შორის 2015 წლის 25 დეკემბერს გაფორმებულ „მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების შესახებ“ განმახორციელებელი სააგენტოს ხელშეკრულებაში შესატანი ცვლილებების პროექტი (დანართი 7ბ) და ინფორმაცია განმახორციელებელი სააგენტოს ხელშეკრულებაში შესატანი ცვლილებების თაობაზე (დანართი 7ა).
9. სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) და კომპანია „ინდუსტრიას“ (JV S.C. IMPEX ROMCATEL Cercetare Proiectare S.A., Romania in association with Scientific, Design – Technological Enterprise “INDUSTRIA” Ltd., Georgia) შორის „საქართველოს საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო პროექტების განვითარების და სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის შესახებ“ 2017 წლის 20 ივლისს გაფორმებულ #PP05-A3/GEP/CS/LCS/03/115/TO6-123 (მეექვსე ტექნიკური დავალება, ე.წ. Task Order N6) ხელშეკრულებაში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტი (დანართი 8ბ) და ინფორმაცია აღნიშნული ცვლილებების შესახებ (დანართი 8ა).
10. სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) და შპს „ეკოპრეს“ შორის „საქართველოს საჯარო სკოლებისთვის ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის და მათი სამონტაჟო მომსახურების შესყიდვის შესახებ“ 2016 წლის 2 მარტს გაფორმებულ PP07/GEP/G/CB/01 ხელშეკრულებაში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტი (დანართი 9ბ) და ინფორმაცია აღნიშნული ცვლილებების შესახებ (დანართი 9ა).

სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილებები:

1. დამტკიცებულ იქნას სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) 2019 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტი (დანართი 1).
2. დამტკიცებულ იქნას სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) 2018 წლის 1 აპრილი - 2019 წლის 31 მარტი პერიოდის აუდიტის გეგმა (დანართი 2).
3. მოწონებულ იქნას სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia), 2017 წლის 1 აპრილიდან - 2018 წლის 31 მარტის ჩათვლით პერიოდის აუდიტორული ანგარიში (დანართი 3).
4. დამტკიცებულ იქნას სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) 2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 30 ივნისამდე პერიოდის შესყიდვების გეგმაში შესატანი ცვლილებები (დანართი 4ა); მოწონებულ იქნას ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მიერ გამოგზავნილი კომპაქტის იმპლემენტაციის წერილი (დანართი 4გ) და ინფორმაცია აღნიშნული წერილის თაობაზე (დანართი 4ბ).
5. ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტის (მეორე კომპაქტი) საფუძველზე, დაევალოს სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მის ანგარიშზე არსებული და სამომავლოდ ჩარიცხული საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან

ამონაგები თანხა სრული ოდენობით გადარიცხოს სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) ანგარიშზე.

6. მოწონებულ იქნას სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) და სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრს (NAEC) შორის გასაფორმებელი „საქართველოს ზოგადი განათლების ხარისხის გაუმჯობესების პროექტის დამოუკიდებელი შეფასებისათვის, სწავლების შეფასების მონაცემთა შეგროვების შესახებ“ განმახორციელებელი სააგენტოს ხელშეკრულების პროექტი (დანართი 5ბ). მიენიჭოს უფლებამოსილება სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) აღმასრულებელ დირექტორს მაგდა მადრაძეს, გააფორმოს აღნიშნული ხელშეკრულება. მოწონებულ იქნას ინფორმაცია განმახორციელებელი სააგენტოს ხელშეკრულების პროექტის თაობაზე (დანართი 5ა).
7. მოწონებულ იქნას სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს (ESIDA) შორის 2014 წლის 11 ნოემბერს გაფორმებულ „ზოგადი განათლების ხარისხის გაუმჯობესების პროექტის შესახებ“ განმახორციელებელი სააგენტოს ხელშეკრულებაში შესატანი #5 ცვლილებების პროექტი (დანართი 6ბ). მიენიჭოს უფლებამოსილება სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) აღმასრულებელ დირექტორს მაგდა მადრაძეს, გააფორმოს აღნიშნული ხელშეკრულება. მოწონებულ იქნას ინფორმაცია განმახორციელებელი სააგენტოს ხელშეკრულებაში შესატანი #5 ცვლილებების პროექტის თაობაზე (დანართი 6ა).
8. მოწონებულ იქნას სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) და სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს შორის 2015 წლის 25 დეკემბერს გაფორმებულ „მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების შესახებ“ განმახორციელებელი სააგენტოს ხელშეკრულებაში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტი (დანართი 7ბ). სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) აღმასრულებელ დირექტორს, მაგდა მადრაძეს მიენიჭოს აღნიშნულ ცვლილებებზე ხელმოწერის უფლებამოსილება. მოწონებულ იქნას ინფორმაცია ცვლილებების შესახებ (დანართი 7ა).
9. მოწონებულ იქნას სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) და კომპანია „ინდუსტრიას“ (JV S.C. IMPEX ROMCATEL Cercetare Proiectare S.A., Romania in association with Scientific, Design – Technological Enterprise “INDUSTRIA” Ltd., Georgia) შორის „საქართველოს საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო პროექტების განვითარების და სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის შესახებ“ 2017 წლის 20 ივლისს გაფორმებულ #PP05-A3/GEP/CS/LCS/03/115/TO6-123 (მეექვსე ტექნიკური დავალება, ე.წ. Task Order N6) ხელშეკრულებაში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტი (დანართი 8ბ) და მიენიჭოს უფლებამოსილება სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) აღმასრულებელ დირექტორს მაგდა მადრაძეს, გააფორმოს აღნიშნული ხელშეკრულება. მოწონებულ იქნას ინფორმაცია განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ (დანართი 8ა).

10. მოწონებულ იქნას სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) და შპს „ეკოპრეს“ შორის „საქართველოს საჯარო სკოლებისთვის ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის და მათი სამონტაჟო მომსახურების შესყიდვის შესახებ“ გაფორმებულ 2016 წლის 2 მარტის PP07/GEP/G/CB/01 ხელშეკრულებაში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტი (დანართი 9ბ) და ინფორმაცია აღნიშნული ცვლილებების შესახებ (დანართი 9ა). მიენიჭოს უფლებამოსილება სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) აღმასრულებელ დირექტორს მაგდა მალრაძეს გააფორმოს აღნიშნული ხელშეკრულება.

სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) სამეთვალყურეო საბჭოს წევრები გადაწყვეტილებებს ადასტურებენ ხელმოწერით:

მამუკა ბახტაძე
საქართველოს პრემიერ-მინისტრი
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე



მიხეილ ბატიაშვილი
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა
და სპორტის მინისტრი
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე



ივანე მაჭავარიანი
საქართველოს ფინანსთა მინისტრი



თეა წულუკიანი
საქართველოს იუსტიციის მინისტრი



დავით ზალკალიანი
საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი



ნინო ჩინჩალაძე
საერთაშორისო განათლების ცენტრის
დირექტორი

